



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
26 აპრილი, 2016

გარდაბანი-2 თბოსადგურის მშენებლობის დაწყება 2017 წლისთვის იგეგმება. 240 მგვტ დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურს არსებული გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოსადგურის მსგავსი ტექნიკური მახასიათებლები ექნება. თბოსადგურის აშენების სავარაუდო ღირებულება 190 მლნ აშშ დოლარია. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ინფორმაციით, ექვსმა საერთაშორისო კომპანიამ გამოხატა ინტერესი გარდაბანი-2-ის მშენებლობაზე, თუმცა მათი ვინაობა ჯერჯერობით არ საჯაროვდება. ცნობისათვის, პირველი გარდაბნის სადგური ჩალიკ ენერჯი ჰოლდინგმა ააშენა.

თურქი ინვესტორები კვლავაც დიდ ინტერესს გამოხატავენ საქართველოს ენერგოსექტორის მიმართ. ჩალიკ ენერჯი ჰოლდინგმა

და GE ფაუერმა გამოთქვეს ინტერესი ერთობლივად თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე. GE ფაუერი ამჟამად ფლობს და ოპერირებს 110 მგვტ დადგმული სიმძლავრის თბოელექტროსადგურს გარდაბანში. გარდა თბოსადგურების მშენებლობისა, ჩალიკ ენერჯი ასევე დაინტერესებულია საქართველოში ქარის ელექტროსადგურების პოტენციალით. შიდა ქართლსა და იმერეთში ჩალიკის დაკვეთით უკვე დამონტაჟებულია ქარის ანძები, რომლის საშუალებითაც ერთი წლის განმავლობაში არსებულ კლიმატურ პირობებს შეისწავლიან. ამავდროულად, თურქეთის პარლამენტმა თურქეთსა და საქართველოს შორის ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოსა და თურქეთს შორის ამ სფეროში ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ინტერ რაო მის მფლობელობაში არსებული მეცხრე და მეთათე ბლოკების გაყიდვას გეგმავს. მის მფლობელობაშივე არსებული სადისტრიბუციო ქსელის (თელასი) გაყიდვა ამჟამად არ იგეგმება. კომპანიის ეს გადაწყვეტილება დაადასტურეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, მარიამ ვალიშვილმა, და ინტერ რაოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ზორის კოვალჩუკმა. მტკვარი ენერგეტიკას მფლობელობაში არსებული მე-9 და მე-10 ბლოკების სავარაუდო მყიდველად GIG სახელდება. GIG-ს მფლობელობაში ამჟამად 326 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის აქტივებია თავმოყრილი, აქედან 300 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური თბილისრესი, 13 მგვტ დადგმული სიმძლავრის ნახშირზე მომუშავე თბოსადგური ტყიბულში და დანარჩენი 13 მგვტ-მდე ჰიდროელექტროსადგურები. ტყიბულის თბოსადგურისთვის GIG ადგილობრივად მოიპოვებს ქვანახშირს. კომპანიამ ახლახანს მოაწერა ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სახელმწიფოსთან, რომელიც ტყიბულში კიდევ ერთი, 150 მგვტ სიმძლავრის ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ GIG მტკვარი ენერგეტიკას გენერაციის აქტივებს შეისყიდის და ტყიბულში მორიგ ქვანახშირის თბოსადგურს ააშენებს, კომპანია საქართველოში არსებული ჯამური დადგმული სიმძლავრის მეხუთედის მფლობელი გახდება.

თურქეთმა კვალიფიციური საწარმოებისთვის დაწესებული წლიური მოხმარების ზღვარი შეამცირა. იმისათვის რომ ბაზრის მონაწილეებმა შეძლონ ელექტროენერგიის ღია ბაზარზე შესყიდვა, მინიმალური წლიური მოხმარება 3,600 კვტ/სთ უნდა ჰქონდეთ. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 5,000 კვტ/სთ იყო. თურქეთის ეს ნაბიჯი თეორიულად ბაზრის 85.8%-ს ათავისუფლებს და საშუალებას აძლევს ღია და კონკურენტულ ბაზარზე ივაჭროს. ეს ცვლილება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკების ფარგლებში ჯდება და თურქეთის მიერ კონკურენტული ელექტროენერგიის ბაზრის განვითარებისკენ აღებულ გეზზე მიანიშნებს.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში 2016 წლის მარტში წლიურად 1.0%-ით, 2016 წლის პირველ კვარტალში კი 1.8%-ით არის გაზრდილი. მოხმარების ზრდის ტემპის შემცირება ერთის მხრივ 2015 წელს ზრდის მაღალი მაჩვენებლით და მეორეს მხრივ, შედარებით თბილი მარტით აიხსნება. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.7%-ით არის გაზრდილი, როდესაც 2015 წელს იგივე მაჩვენებელი 8.2% იყო. თელასის (თბილისის) მოხმარება 5.8%-ით არის გაზრდილი, როდესაც 2015 წელს ეს მაჩვენებელი 12.9% იყო.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

მარტში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	3.4 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
მარტში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	3.7 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
მარტში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	ექსპორტი არ ფიქსირდება
მარტში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	2.8 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
შიდა მოხმარების ზრდა 1კ16, კვტ/სთ	1.8%
ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდა 1კ16, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ზრდა 1კ16, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება

* საშუალო გაცვლითი კურსი მარტში GEL/US\$ = 2.4829; TRY/US\$ = 2.9407

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

თამარ ქურდაძე


ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.




ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა წინა წელთან შედარებით შემცირებული იყო რეგიონებშიც. ეს მაჩვენებელი 2015 წელს 5.1% იყო, 2016 წლის მარტში კი 1.2%-მდე შემცირდა. პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია შემცირებულია 6.7%-ით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში მოხმარება უკვე 7.0%-ით იყო შემცირებული. თუმცა, აღსანიშნავია რომ ჯორჯიან მანგანუმის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის შემცირების ტემპმა იკლო და წლიური -4.7% შეადგინა. 2016 წლის მარტში აფხაზეთის რეგიონის მოხმარება თითქმის არ გაზრდილა (+0.8% წ/წ) და სრულად დააკმაყოფილა ენგურის და ვარდნილის მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიამ. აფხაზეთის რეგიონის მოხმარების ზრდა 2016 წლის იანვარსა და თებერვალში 7.7% და 7.3% იყო. აღსანიშნავია, რომ ენგურის და ვარდნილის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის თითქმის 100% აფხაზეთის რეგიონს მოხმარდა. მას შემდეგ რაც იანვარსა და თებერვალში საქართველოს ელექტროენერგიის დამატებითი მოცულობების იმპორტი დასჭირდა აფხაზეთის რეგიონის მნიშვნელოვნად გაზრდილი მოხმარების დასაკმაყოფილებლად, შენელებული ზრდის ტემპი მისასალმებელია. 2016 წლის მარტში ელექტროენერგიის ექსპორტი არ განხორციელებულა.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ/სთ)




წყარო: ესკო

2016 წლის მარტში ელექტროენერგიის წარმოება შემცირებულია 9.5%-ით, რაც თბოსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირებამ გამოიწვია. თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 56.2%-ით არის შემცირებული. შემცირების მთავარი მიზეზი თბილისრესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 98.7%-იანი შემცირება იყო. გარდა ამისა, მარტში გამორთული იყო მტკვარი ენერგეტიკის მე-9 ბლოკი, რომლის წარმოება 2015 წლის მარტში 172 გვტ/სთ-ს შეადგენდა. აღნიშნული გამოწვეულია იმით რომ მტკვარი ენერგეტიკას მფლობელი კომპანია, ინტერ რაო, მე-9 და მე-10 ბლოკების გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მოსალოდნელია, რომ მას შემდეგ რაც მოლაპარაკებები დასრულდება, მე-9 ბლოკი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას. შემცირებული წარმოების მიერ გამოწვეული ელექტროენერგიის დეფიციტის შევსება რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის ხარჯზე მოხდა. 2016 წლის მარტში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით იმპორტი 76.2%-ით გაიზარდა და ქვეყნის მოხმარების 14.2% დააკმაყოფილა. აღსანიშნავია რომ ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება 17.2%-ით არის გაზრდილი წინა წლის მარტთან შედარებით, სეზონური და დერეგულირებული ჰეს-ების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ზრდის ხარჯზე. დერეგულირებული ჰეს-ების წარმოება 41.0%-ით, ხოლო სეზონურების 26.5%-ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 5.7%-ით არის შემცირებული ენგურისა და ვარდნილის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობა, არასახარბიელო კლიმატური პირობებისა და რეზერვუარში წყლის ნაკლებობის გამო.




გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ/სთ




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი 2016 წლის მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 49.9%-ით შემცირდა და კვტ/სთ-ზე 3.4 აშშ ცენტი შეადგინა. ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთშიც შემცირებულია და კვტ/სთ-ზე 3.9 აშშ ცენტი (-21.5% წ/წ) შეადგინა. საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასის მკვეთრი ვარდნის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იმპორტირებული ელექტროენერგიის უჩვეულოდ დაბალი ფასი იყო, რაც თავის მხრივ თებერვალში რუსეთიდან შეღავათიან ფასებში იმპორტზე მოკლევადიანი შეთანხმების შედეგია. იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასმა მხოლოდ 2.8 ცენტი შეადგინა კვტ/სთ-ზე, როდესაც ეს მაჩვენებელი როგორც წესი 5-7 აშშ ცენტის ფარგლებში მერყეობს. ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის 61.1% იმპორტირებული ელექტროენერგია იყო. შესაბამისად, იაფმა იმპორტმა დიდი გავლენა იქონია საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე. საბალანსო ელექტროენერგიის 29.7% ჰეს-ების მიერ იყო წარმოებული, დანარჩენი თბოსადგურების. ელექტროენერგიის ფასების დადმავალი ტენდენცია თურქეთში კვლავ გრძელდება, რაც ნაწილობრივ დაბალი გაზისა და ნავთობის ფასებით არის გამოწვეული. მოსალოდნელია, რომ საშუალო ვადაში თურქეთში ელექტროენერგიის ფასები აღმავალ ტენდენციას დაუბრუნდება.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შთაბეჭდილება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირაკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რამენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაკეთდეს რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი--ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოყენებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მეთდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dnikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი
თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge